



პერიოდო
& კარდიო

ჭანმრთელი ღრძილები ჭანმრთელი გულისთვის



რეკომენდაციები
მედიკოსებისა და
ფარმაცევტებისთვის

პაროდონტიტი & კარდიოვასკულური დაავადებები (CVD) ერთი შეხედვით

როგორც პაროდონტიტი, ასევე
კარდიოვასკულური დაავადებები (CVD)
არის ძალიან გავრცელებული
ქრონიკული, არაგადაამდები
დაავადება

ადრეული დიაგნოსტიკა, პრევენცია
და ერთობლივ მენეჯმენტი
(სტომატოლოგებისა და ზოგადი
პრაქტიკის ექიმებისგან)
როგორც
პაროდონტიტის,
ასევე CVD-სთვის
არის ძალიან
მნიშვნელოვანი

არსებობს მეცნიერული მტკიცებულება
პაროდონტიტისა და CVD-ს კავშირის
შესახებ, მათ შორის მიოკარდიუმის
მწვავე ინფარქტის, გულის
უკმარისობისა და ინსულტის
განვითარების.

CVD-ს მექანიზმში
პაროდონტულმა
მკურნალობამ
და პირის ღრუს
კარგმა ჰიგიენამ,
შესაძლოა,
შეამციროს
CVD-ს
გამწვავების
შემთხვევები

CVD არის
სიკვდილიანობის
ყველაზე ხშირი
მიზეზი

პაციენტებს, რომელთაც აქვთ
CVD, უნდა ჩაუტარდეთ
პირის ღრუს ჯანმრთელობის
სრულყოფილი კვლევა

ცხოვრების სტილის
გავრცელებული ფაქტორები,
როგორიცაა: მოწევა, სტრესი,
ჭარბი წონა, დიაბეტი და
არასრულფასოვანი კვება -
ამწვავებს როგორც
პაროდონტიტს, ასევე CVD-ს

არანამკურნალებ პაროდონტიტს
მიყვავართ კბილების დაკარგვამდე.
თუმცა, პაროდონტიტის პრევენცია
შესაძლებელია, არის ადვილად
დიაგნოსტირებადი და ექვემდებარება
კონტროლს.

რეკომენდაციები

მედიკოსებისა და ფარმაცევტებისთვის

როგორც პაროდონტის, ასევე კარდიოვასკულური დაავადებები არის ფართოდ გავრცელებული, არაგადამდები მდგომარეობა, რომელსაც დიდი გავლენა აქვს ჯანმრთელობასა და ცხოვრების ხარისხზე. პაროდონტის დაავადებები (გინგივითი და პაროდონტიტი) არის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დაავადება და 35 წელზე უფროსი ასაკის ადამიანების დაახლოებით 80%-ს აღენიშნება. მძიმე ფორმის პაროდონტიტი არის რიგით მეექვსე ყველაზე გავრცელებული დაავადება მსოფლიოს მასშტაბით, რაც მოიცავს დაახლოებით 800 მილიონ ადამიანს (დაახლოებით მსოფლიო მოსახლეობის 10%-ს.) მკურნალობის უგულებელყოფის შემთხვევაში, პაროდონტიტი იწვევს კბილების დაკარგვას, რაც თავის მხრივ, ასოცირებულია გაუარესებულ კვებასთან, მეტყველებასთან, თავდაჯერებულობასა და ცხოვრების დაბალ ხარისხთან.

კარდიოვასკულური დაავადებები მოიცავს გულსა და სისხლძარღვებს. მას მიეკუთვნება: გულის იშემიური დაავადება, ინსულტი, ჰიპერტენზია, გულის რევმატიული დაავადება, კარდიომიოპათია და წინაგულების ფიბრილაცია. CVD არის სიკვდილის გამომწვევი მესამე მიზეზი მსოფლიოში (დაახლოებით 18 მილიონი შემთხვევა ყოველწლიურად) და 45% ევროპის მასშტაბით (დაახლოებით 4 მილიონი ლეტალური გამოსავალი ყოველ წელს.) ის უფრო გავრცელებულია განვითარებულ ქვეყნებში ე.წ. „დასავლური“ ცხოვრების სტილით, ასაკოვანი მოსახლეობის ზრდის, ცხოვრების არააქტიური წესისა და არაჯანსაღი კვების გამო. CVD-ს მთავარი რისკ-ფაქტორებია: მოწევა, სისხლის მაღალი წნევა, ქოლესტეროლისა და ტრიგლიცერიდების მაღალი დონე, გლუკოზის მეტაბოლიზმის ცვალებადობა და ჭარბი წონა. ზოგიერთი ეს ფაქტორი დაკავშირებულია პაროდონტიტთანაც. საბედნიეროდ, არსებობს ცხოვრების სტილის მარტივი ცვლილებები, რაც ხელს უწყობს რისკ-ფაქტორების შემცირებას.

პაროდონტიტი ასოცირებულია კარდიოვასკულური დაავადებების გარკვეულ ფორმებთან და ამით გამოწვეულ სიკვდილიანობასთან. თუმცა ის შეიძლება იყოს CVD-ს რისკ-ფაქტორი, რომლის თავიდან აცილებაც შესაძლებელია.

მიუხედავად იმისა, რომ საჭიროა მეტი კვლევა პაროდონტოლოგიური მკურნალობის გავლენის შესახებ CVD-ს რისკ-ფაქტორების შესახებ. არსებობს მტკიცებულება, რომ პაროდონტოლოგიური მკურნალობა და პირის ღრუს კარგი ჰიგიენა ხელს უწყობს CVD-ს პრევენციას. მაგალითად, პაციენტებს, რომლებიც იხეხავენ კბილებს დღეში ორჯერ და აქვთ პირის ღრუს ჰიგიენის კარგი რუტინა, შესაძლოა, ჰქონდეთ CVD-ს განვითარების ნაკლები რისკი. CVD-ს მეორე პაციენტებისათვის პაროდონტოლოგიური მკურნალობა უსაფრთხოა. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, როდესაც პაციენტები იღებენ ანტიკოაგულაციურ და ანთითრომბოციტულ პრეპარატებს, ჰემოსტატიკური ზომები უნდა იქნას მიღებული.

კარდიოლოგებმა და ზოგადი პროფილის სხვა ექიმებმა უნდა აცნობონ პაციენტს, რომ პაროდონტიტმა შეიძლება გააუარესოს მათი დაავადების მიმდინარეობა ან გაზარდოს CVD-ს შემთხვევების რისკი. მათ უნდა მიაწოდონ პაციენტს ინფორმაცია, რომ პაროდონტიტის მკურნალობას ექნება დადებითი გავლენა კარდიოვასკულურ სტატუსზე. მათ ასევე უნდა ჰქონთ პაციენტებს პაროდონტიტის სიმპტომების არსებობის შესახებ (როგორცაა სისხლდენა და კბილების დაკარგვა) ასევე, საჭიროების შემთხვევაში, ურჩიონ პაროდონტოლოგიური კვლევის ჩატარება.

თუ პაციენტს დაუდგინდა პაროდონტიტი, ექიმმა უნდა გააკონტროლოს, იღებს თუ არა ის შესაბამის პაროდონტოლოგიურ მომსახურებას. პაციენტებს, რომელთაც ახლახან დაუდგინდათ CVD, სასურველია, ჩაუტარდეთ პაროდონტოლოგიური კვლევა.

უფრო მეტიც, ნებისმიერი ქირურგიული ჩარევის დროს, ზოგადი პროფილის ექიმები მჭიდრო კონტაქტში უნდა იყვნენ პირის ღრუს ქირურგებთან პაროდონტიტის მენეჯმენტის დროს ისეთ პაციენტებში, რომლებიც იმყოფებიან ანტიკოაგულაციურ ან ანთითრომბოციტულ თერაპიაზე. ამით თავიდან აიცილებთ სისხლდენასა და იშემიის განვითარების რისკს.

პაროდონტიტი და კარდიოვასკულური დაავადებები(CVD) მსოფლიო მოსახლეობაში ფართოდ გავრცელებული მდგომარეობებია

ძირითადი ფაქტები



გულსისხლძარღვთა დაავადება
ყოველწლიურად 17,9 მილიონი ლეტალობა
გლობალურად

(სიკვდილიანობის 1/3)

ევროპაში 3,9 მილიონი სიკვდილიანობის
მჩვენებელი ყოველწლიურად
(სიკვდილიანობის 45%)

გავრცელება:

2017 წელს დაახლოებით 500 მილიონი
ადამიანი დაავადდა CVD-თი მსოფლიოში



პაროდონტიტი

მსოფლიო მოსახლეობის 50%

გავრცელება:

მსოფლიოში დაახლოებით 800 მილიონი
ადამიანი დაავადებული მძიმე ფორმით



გულსისხლძარღვთა დაავადებებიც და
პაროდონტიტიც მიეკუთვნება არაგადამდებ
დაავადებებს, რაც ნიშნავს რომ ისინი არ
გადაეცემათ ერთი ადამიანიდან მეორეს
კონტაქტით



ყოველწლიურად ევროპის ჯანდაცვის
სისტემა გამოჰყოფს 1,5 მილიარდ ევროს
გულსისხლძარღვთა დაავადებებისთვის

ფაქტები პაროდონტიტის შესახებ

- პაროდონტული დაავადებები - გინგივითი და პაროდონტიტი - არის ყველაზე ხშირი ანთებითი დაავადება ადამიანებში
- მკურნალობის უგულებელყოფის შემთხვევაში, პაროდონტიტი იწვევს კბილების დაკარგვას, რაც ასოცირებულია არასრულფასოვან კვებასთან, მეტყველებასთან და თავდაჯერებულობისა და ცხოვრების ხარისხის შემცირებასთან.
- პაროდონტიტი ასოცირებულია ათეროსკლეროზის გაზრდილ დონესთან, ენდოთელურ დისფუნქციასთან, გლიკემიის დონესთან და სისტემურ ანთებასთან.
- არსებობს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს კავშირს მძიმე პაროდონტიტსა ზოგიერთ არაგადადებ დაავადებას შორის. როგორიცაა დიაბეტი, კარდიოვასკულური დაავადება, ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადება და თირკმლის ქრონიკული დაავადება.
- პაროდონტიტი არის ადვილად სადიაგნოსტიკო და კლინიკურად კონტროლირებადი; მუდმივი მაღალახარისხიანი შემანარჩუნებელი თერაპიით, კლინიკური შედეგების შესარჩუნება შესაძლებელია.
- პაროდონტიტის წარმატებული მკურნალობა ხელს უწყობს სისტემური ანთების შემცირებას, გლუკოზის მეტაბოლიზმის გაუმჯობესებას და ცხოვრების უკეთეს ხარისხს.

ღრძილების დაავადების ნიშნები:

- ☒ წითელი ან შეშუპებული ღრძილები
- ☒ სისხლმდენი ღრძილები ან სისხლი ნიჟარაში კბილების გახეხვის შემდგომ
- ☒ არასასიამოვნო გემო პირის ღრუში
- ☒ მყარი ნადები (ქვა) კბილის ზედაპირზე
- ☒ დაგრძელებული შესახედაობის კბილები
- ☒ კბილებს შორის გაზრდილი სივრცე ან კბილების გადანაცვლება
- ☒ კბილების დაკარგვა

ცხოვრების სტილით გამოწვეული რისკ-ფაქტორები:



მოწევა



სტრესი/
ჰიპერტენზია



არაჭანსადი
კვება



პასიური
ცხოვრების
სტილი



ჭარბი წონა


კავშირი პაროდონტიტსა და CVD-ს შორის

მტკიცებულება:


არსებობს მტკიცებულება, რომ პაროდონტიტი ასოცირებულია კარდიოვასკულური დაავადებების სხვადასხვა ფორმასთან: კორონარული არტერიების დაავადება, მიოკარდიუმის ინფარქტი, ცერებროვასკულური დაავადება, კარდიომეგალიური და თრომბოზული ინსულტი, პერიფერიული არტერიების დაავადება, წინაგულების ფიბრილაცია და გულის უკმარისობა

ასევე არსებობს მტკიცებულება, რომ:


პაროდონტიტიან პაციენტებს აღენიშნებათ ნიშანდობლივი ენდოთელური დისფუნქცია



პაროდონტიტი ზრდის ათეროსკლეროზის განვითარების რისკს (არტერიების შევიწროებას.)



პაროდონტიტი



პაროდონტიტი არის CVD-ს კიდევ ერთი, თუმცა თავიდან აცილებადი, რისკ-ფაქტორი




პაროდონტიტი იწვევს ანთებას, რაც გავლენას ახდენს ათეროთრომბოგენების განვითარებაზე (ათერომების ჩამოყალიბება არტერიებში)

პაროდონტიტის არსებობა ასოცირდება კარდიოვასკულური დაავადებების გაზრდილ რისკთან, მათ შორის მწვავე მიოკარდიუმის ინფარქტი, გულის უკმარისობა და ინსულტი

ურთიერთკავშირის მიზეზები

კავშირის შესაძლო მიზეზები მოიცავს:

- ბაქტერიემიის გაზრდილი სიხშირე პაციენტების სისხლძარღვთა სისტემაში, რომელთაც აქვთ გინგივითი და პაროდონტიტი, პოტენციურად არის სხვადასხვა სისტემური ეფექტის გამომწვევი.
- პაროდონტიტიან პაციენტებში გვხვდება უფრო ვირულენტური ბაქტერია, რომლის მიერ გამოწვეულმა ანთებამ შესაძლოა ხელი შეუწყოს ისეთ მოვლენებს, რომლებიც უარყოფითად იმოქმედებენ ზოგად ჯანმრთელობაზე.
- პაროდონტოპათოგენები (მაგ: *Porphyromonas gingivalis*) ხელს უწყობენ ათერომების წარმოქმნას და ათეროსკლეროზის ჩამოყალიბებას.
- პაროდონტოპათოგენები წარმოქმნიან ანტისხეულებს (ანტიკარდიოლიპინურ ანტისხეულებს) რომელმაც შესაძლოა ჯვარედინად იმოქმედოს პაციენტის კარდიოვასკულურ სისტემაზე და ხელი შეუწყოს CVD-ს განვითარებას.
- დაავადების არმქონე პაციენტებთან შედარებით, პაროდონტიტიან პაციენტებს აქვთ:
 - ციტოკინების და ანთების მედიატორების გაზრდილი რაოდენობა, რაც ასოცირებულია CVD-ს განვითარების მაღალ სიხშირესთან.
 - ფიბრინოგენის გაზრდილი რაოდენობა (თრომბოციტული ფაქტორები).
 - CVD-ს კლასიკური რისკ-ფაქტორები, როგორიცაა ქოლესტეროლი, LDL, ტრიგლიცერიდები, VLDL, oxidised LDL და ა.შ
- პაროდონტიტსა და CVD-ს აქვთ საერთო გენეტიკური ფაქტორები. არსებობს სპეციფიური ზონა მეცხრე ქრომოსომაზე - რომელშიც მრავალი ცვლილება აღინიშნა - ის ასევე დაკავშირებულია დიაბეტის მეორე ტიპთან და ალცჰაიმერის დაავადებასთან.



რა უნდა გააკეთო?!

01


აცნობეთ CVD-ს მექონე პაციენტებს, რომ პაროდონტიტს შესაძლოა ჰქონდეს უარყოფითი გავლენა მათ დაავადებაზე და ასევე, გაზარდოს CVD-ს შემთხვევების რისკი.




02

CVD-ს მექონე პაციენტებს უნდა გამოჰკითხოთ პაროდონტიტის სიმპტომების არსებობის შესახებ


ღრძილების დაავადების ნიშნები მოიცავს:




წითელი ან
შეშუპებული
ღრძილები




სისხლმდენი ღრძილები
ან სისხლი ნიჟარაში
კბილების გახეხვის შემდგომ




არასასიამოვნო
გემო პირის
ღრუში




ქვა(მყარი
ნადები) კბილებზე



დაგრძელებული
შესახედაობის
კბილები



კბილებს შორის
გაზრდილი სივრცეები
ან კბილების
გადანაცვლება



კბილების
დაკარგვა

03

რომელიმე სიმპტომის აღმოჩენისას რეკომენდებულია დაუყოვნებელი პაროდონტოლოგიური კვლევა




04

ურჩიეთ CVD-ს მექონე პაციენტებს რომ პაროდონტიტის ეფექტურმა მკურნალობამ შესაძლოა დადებითად იმოქმედოს მათ კარდიოვასკულურ ჯანმრთელობაზე



05

ჰკითხეთ CVD-ს მექონე პაციენტებს პაროდონტიტის დიაგნოზის არსებობის შესახებ. ასეთის არსებობის შემთხვევაში, გამოჰკითხეთ თუ იღებს ის შესაბამის პაროდონტოლოგიურ მკურნალობას.



06


პაციენტებს, რომელთაც ახლახან დაესვათ CVD-ს დიაგნოზი, ურჩიეთ, რომ პაროდონტოლოგიური კვლევა ჩართოს CVD-ს მენეჯმენტის ნაწილად.

რეკომენდებულია პირის ღრუს ყოველწლიური შემოწმება, მათ შორის პაროდონტოლოგიურად



07

CVD-ს მექონე პაციენტების პაროდონტოლოგიური მდგომარეობის მართვისას, რომლებიც იმყოფებიან ანტიკოაგულაციურ/ანტითრომბოციტულ თერაპიაზე, მიმართეთ ქირურგ-სტომატოლოგებს ნებისმიერი ქირურგიული ჩარევის წინ, რათა თავიდან აიცილოთ სისხლდენისა და იშემიის განვითარების რისკები.



08

სიმპტომების არარსებობის შემთხვევაში, ურჩიეთ პაციენტს, ყურადღებით დააკვირდეს სიმპტომებს და მათი გაჩენის შემთხვევაში აუცილებლად მიმართონ სტომატოლოგს - რომელსაც უნდა ეწვიონ, წელიწადში მინიმუმ ერთხელ.





The European Federation of Periodontology (EFP) is a non-profit organisation dedicated to promoting awareness of periodontal science and the importance of gum health. Its guiding vision is "periodontal health for a better life."

Founded in 1991, the EFP is a federation of 37 national periodontal societies that represents more than 16,000 periodontists, dentists, researchers and oral-health professionals in Europe and around the world. It pursues evidence-based science and the general interest, promoting events and campaigns aimed at both professionals and the public.

Through events such as the triennial EuroPerio congress, its scientific publication the Journal of Clinical Periodontology, its accredited programme for postgraduate education, and the annual Gum Health Day awareness initiative, the EFP is at the forefront of promoting periodontal science and gum health.

www.efp.org



The World Heart Federation is the principal representative body for the global cardiovascular community, representing more than 200 heart foundations, scientific societies, civil society, and patient organisations from over 100 countries.

Together with our members, we are working to end needless deaths and build global commitment for improved cardiovascular health at the global, regional, national, and community levels.

We believe in a world where heart health for everyone is a fundamental human right and a crucial element of global health justice.

www.worldheart.org



DENTAID is a multinational company devoted to the research, development, manufacture and marketing of oral health products founded with a clear mission: improving people's oral health. The company's spirit of innovation and commitment to society has granted its leadership in this field.

DENTAID offers a wide range of solutions for the prevention, diagnosis, and treatment of diseases caused by oral biofilm.

Moreover, DENTAID promotes education, quality training for professionals, and continued support in their daily practice. Currently, it has 9 subsidiaries and is present in over 70 countries around the world. The brands Vitis®, Perio-Aid®, Interprox®, Halita®, and Dentaaid Xeros® are distributed internationally.

www.dentaid.com

ჯანმრთელი ღრძილები
ჯანმრთელი გულისთვის







ჯანმრთელი ღრძილები ჯანმრთელი გულისთვის




ეწვიე შენს ექიმსა
და სტომატოლოგს
რეგულარულად



გაიხეხე კბილები
დღეში ორჯერ



იყავი აქტიური,
ივარჯიშე



იკვებე ჯანსაღად,
აკონტროლე წონა



არ მოწიო

visit:

perio and cardio .efp.org